სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

87185484314812

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120965190

რეგისტრაციის თარიღი

11.09.2012 წ

ნოტარიუსი: ნინო ხოფერია

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2

ტელეფონი: +995 32 2 98 70 24

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სანოტარო აქტი
მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

დღეს, **ორიათას თორმეტი წლის თერთმეტ სექტემბერს,** მე, ნოტარიუს **ნინო ხოფერიას,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №28\2, მომმართა **შპს „ალტრა ვიტა“-ს დირექტორმა ირინა კვიკვინიამ** (დაბ. 21.06.1974წ. მცხ. **თბილისი ი.ჭავჭავაძის I ჩიხი N 35 ბ. 44**. პირადი №01708066799), თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან მომზადებული 01.08.2012წ. საიდენტიფიკაციო კოდი №404953699 რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა **ეკატერინე კვიკვინიას** (დაბ. 23.02.1979წ. მცხ. **თბილისი ი.ჭავჭავაძის I ჩიხი N 35 ბ. 32**. პირადი №01508064210.) მიმართ, რათა იგი იყოს **შპს „ალტრა ვიტა“-ს** წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო ორგანოებში, აწარმოოს ყველა სახის საგადასახადო პროცედურები, გადაიხადოს საჭირო გადასახადები, აგრეთვე წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები საბაჟო სამსახურებში, განაბაჟოს ტვირთი და უზრუნველყოს აღნიშნული ტვირთის ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე, შეასრულოს ნებისმიერი სხვა იურიდიული ფორმალობები რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესასრულებლად. მიიღოს ყველა სახის ინფორმაცია აღნიშნული სამსახურიდან, ხელი მოაწეროს საზოგადოების სახელით, ასევე იყოს წარმომადგენელი საჯარო, სამოქალაქო და სამეწარმეო რეესტრში, მერიაში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, გამგეობაში, სანოტარო ბიუროში, სამინისტროებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, მიიღოს მონაწილეობა აუქციონში, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერ სახის განცხადებები, მოწმობები ზემოთ ხსენებული სამსახურებიდან, მიიღოს ნებართვები, ხელი მოაწეროს კონტრაქტებს, საჭირო დოკუმენტებს, მიღება ჩაბარების აქტებს, გადაიხადოს ყველა აუცილებელი საზღაური, მოსაკრებელი და ფულადი თანხა, მიიღოს და ჩააბაროს დოკუმენტები როგორც კერძო ასევე იურიდიულ და სახელმწიფო სამსახურებში. აგრეთვე იყოს **შპს „ალტრა ვიტა“-ს** წარმომადგენელი სს “საქართველოს ბანკი”-ს, ნებისმიერ ფილიალში და საქართველოში არსებულ ნებისმიერ ბანკში, შეიტანოს და გამოიტანოს თანხა, გახსნას და დახუროს ანგარიში, ასევე გახსნას ინტერნეტ ბანკინგი, აწარმოოს გადარიცხვები და შეასრულოს ყოველგვარი საბანკო-საფინანსო ოპერაციები, მიიღოს ყველა სახის ინფორმაცია, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს, შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, დაკავშირებული ამ დავალების განსახორციელებლად.

მინდობილობა გაცემულია უვადოდ.

მე, ნოტარიუსმა **ნინო ხოფერიამ,** შევამოწმე მოქალაქის პირადობა და დავადგინე მისი ქმედუნარიანობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთების საფუძველზე. შემდეგ შევადგინე ტექსტი, რომელიც მხარეს წაეკითხა ხმამაღლა ქართულ ენაზე, რაზედაც მან განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მოცემულ მინდობილობას.

მხარე: ---------ირინა კვიკვინია---------

გადახდილია საზღაური 10 (ათი) ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების 31-ე პ. 7 მუხლის თანახმად, აგრეთვე დღგ 1.80 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის შესაბამისად და 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 39-ე მუხილ პ.1-ის თანახმად. სულ გადახდილია ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი.

ნოტარიუსი: /ნ. ხოფერია/
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 28/2